



# „არსი“ / საზოგადოებრივი კოლეჯი /

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საფინანსო სერვისები

საკონტაქტო ინფორმაცია: რუსთავი, აფხაზეთის ქ. 12; ტელ: 571 77 82 26

რუსთავი 2023

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - საფინანსო სერვისები / Finance services
2. ჩარჩოდოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა - 04117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“, კოდი 0412, აღმწერი - „შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, ასევე კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს.“

4. **მიზანი** - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალის მოზადება, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.

5. **დაშვების წინაპირობები** -ა) საბაზო განათლება, ბ) არანაკლებ 17 წელი

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**- საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

➤ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 64, 64.1, 64.19, 64.92.0.

➤ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 4312

7. **სტრუქტურა და მოდულები**

**მოდულის - ქართული ენა A2 - სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია; აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით; ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები არ საჭიროებენ ქართული ენის კრედიტების აღიარებას;**

„საფინანსო სერვისების“ პროგრამის მოცულობაა 52 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 17, ხოლო 13 პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 35 კრედიტი.

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **52 კრედიტი, ამათგან:**

ა) ქართულენოვანთათვის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 52 კრედიტი; ხანგრძლივობა: 9 სასწავლო თვე / 34 კვირა/

ბ) არაქართულენოვანთათვის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 67 კრედიტი / ხანგრძლივობა: 11 სასწავლო თვე/ 44 კვირა/

**ზოგადი მოდულები**

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	უცხოური ენა	4
5	მეწარმეობა 1	2
6	სამოქალაქო განათლება	3
<b>სულ:</b>		<b>17</b>
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	1
2	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	2
3	სერვისის პლუსი	1,5
4	სალაროს ოპერაციების განხორციელება	3,5
5	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება	4
6	ანგარიშის გახსნა-დახურვა	4
7	სწრაფი ფულადი გზავნილები	1
8	უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები	4
9	სადეპოზიტო მომსახურება	4
10	საკრედიტო პროდუქტები	2
11	დისტანციური საბანკო მომსახურება	1.5
12	სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი	3
13	საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	3,5
<b>სულ:</b>		<b>35</b>

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები**  
კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
3. განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

კოლეჯმა „არსმა“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ **სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს- ჯამურად 35 კრედიტი და ზოგად მოდულებს, რომელთა ჯამური კრედიტების რაოდენობაა 17.** / ასევე ქართული ენის მოდული არაქართულენოვანთათვის, რომლის მოცულობაა - 15 კრედიტი.

#### **10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

#### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## 11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართები:

N 1 - სასწავლო გეგმა; / ექსელის ფორმატში

N 2 - პროგრამის შემადგენელ მოდულებზე

N 3 - მოდულების განმარტებული პედაგოგიური პერსონალი

N 4- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი

N5 - პროგრამის ბიუჯეტი

- 1) 3-1 – 0411704 - გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 2) 3-2 – 0411703 - ეროვნული და უცხოური ვალუტის დამკავი ნიშნები/მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 3) 3-3- 0411711- სერვისპლუსი /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 4) 3-4 – 0411708 - სალაროს ოპერაციების განხორციელება /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 5) 3-5 – 0411705- ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/

- 6) 3-6 – 0411701 - ანგარიშის გახსნა-დახურვა /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 7) 3-7- 0411712 - სწრაფი ფულადი გზავნილები /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 8) 3-8 – 0411713- უნადლო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 9) 3-9- 0411706 - სადეპოზიტო მომსახურება /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 10) 3-10 – 0411707 - საკრედიტო პროდუქტები /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 11) 3-11 – 0411702 - დისტანციური საბანკო მომსახურება /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 12) 3-12 – 0411709 - სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 13) 3-13 -0411710 - საწარმოო პრაქტიკა - ფინანსური სერვისები /მოდულის სტატუსი: სპეციალიზაციის პროფესიული/ დარგობრივი მოდული/
- 14) 3-14 – 0610003 - ინფორმაციული წიგნიერება 1 /მოდულის სტატუსი: ზოგადი/
- 15) 3-15 – 0030104 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია /მოდულის სტატუსი: ზოგადი/
- 16) 3-16 – 0020103 - რაოდენობრივი წიგნიერება /მოდულის სტატუსი: ზოგადი/
- 17) 3-17 – 0230101 - უცხოური ენა /ინგლისური ენა/ /მოდულის სტატუსი: ზოგადი/
- 18) 3-18 – 0410003 - მეწარმეობა 1 /მოდულის სტატუსი: ზოგადი/
- 19) 3-19 – 0110005 - სამოქალაქო განათლება /მოდულის სტატუსი: ზოგადი/
- 20) 3-20 – 0110001 - ქართული ენა A2 /მოდულის სტატუსი: ზოგადი - არაქართულენოვანთათვის/